№1673 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კახეთის სატყეო სამსახურის ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეოს კვარტალ №86-ში 2060 კვ.მ მიწის ფართობზე არასასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-60 მუხლის შესაბამისად, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კახეთის სატყეო სამსახურის ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეოს კვარტალ №86-ის ლიტერ №5-ში 2060 კვ.მ მიწის ფართობზე არასასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ვადა განისაზღვროს 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე ვადით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი